საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/38

ქ. ბათუმი 02 მარტი, 2021 წ

,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (ინგლისურენოვან) პროგრამაზე მე-8 ნაკადზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური კალენდარისა და საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N01-02/13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ს. ცქვიტინიძის 2021 წლის 01 მარტის MES 8 21 0000172541 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (ინგლისურენოვან) პროგრამაზე მე-8 ნაკადზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური კალენდარისა და საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N01-02/13 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების 1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (ინგლისურენოვან) პროგრამაზე 2021 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ჩარიცხული სტუდენტებისთვის (ე.წ. მე-8 ნაკადზე ჩარიცხული პირები) 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური კალენდარი განისაზღვროს და სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგნაირად:

ა) 2021 წლის სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია (რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მონაწილეობის მზაობის დადასტურებას) განხორციელდეს არაუგვიანეს 2020 წლის 08 მარტიდან 14 მარტამდე, ფაკულტეტის მიერ მითითებული სერვისის მეშვეობით (დაეგზავნოთ შეტყობინება ელ. ფოსტების მეშვეობით);

ბ) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი დაიწყოს 2021 წლის 15 მარტს და დასრულდეს 2021 წლის 03 ივლისს;

გ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 05 ივლისიდან 2021 წლის 31 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2020 წლის 02 აგვისტოდან 2021 წლის 07 აგვისტოს ჩათვლით.''

2. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და ეცნობოს სტუდენტებს.

3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**